№ 170 1877—1905 № 170

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწაადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 ან.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი

განცხადებანი ფასი: ერთ-სტრიქონიანი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., [illegible] 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 ან.

ტელეფონი № 922.

დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი ძეუღლითა და ძვილებითურთ, **მარიამ თათარაშვილისა და ევა ქიტიევისა** და კონსტანცა ტურიაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 ენკენისთვეს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა დაუვიწყარი ძმა პირველისა, მაზლი მეორისა ბიძა და ძმა დანარჩენთა და მეუღლე უკანასკნელისა სტატსკი სოვეტნიკი

თომა ალექსის ძე ტურიაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე, სადამოს 7 საათზე. პანასევიჩის ქუჩა, № 34.
მიკვალებულს გამოასვენებენ 25 ენკენისთვეს, დილის 9½ საათზე, წმ ნიკოლოზის ეკლესიაში, რიყეზე. (1—1).

Открыта подписка на ежедневную общественно-литературную и политическую газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ“.

1-й № выйдетъ 1-го октября.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	На годъ.	На 6 мѣсяц.	На 3 мѣсяц.	На 1 мѣсяц
Для городскихъ подписчиковъ съ доставкою.	6 руб.	3 руб.	1 руб. 50 к.	50 коп.
Для иногородныхъ подписчиковъ съ пересылкою	7 руб.	3 руб. 50 к.	1 руб- 75 к.	60 коп.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ“, Тифлисъ, Головинскій пр., д. бр. Зубаловыхъ (входъ съ Давидовской ул.).

Плата за объявленія: за строку петита впереди текста 10 коп., позади текста—5 коп.

Съ января 1906 года „ВОЗРОЖДЕНІЕ“ будетъ выходить съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ съ каррикатурами, при чемъ оба изданія будутъ стоить 10 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою.

Редакторъ *П. А. Готуа.*
Редакторъ-Издатель кн. *П. І. Тумановъ.*

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, **კურსების** სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლებ მიიღოს მსურველმა **კურსების** სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—22)

ტფილისის სახალხო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, წარმოდგენილ იქნება

„პიკოვაია დამა“

ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ჩაიკოვსკისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: **დუბროვსკაია**, ნიკიტინა, კარრი, მიშეცკაია, კარპოვა; ბ-ნები: **დონსკოი**, კრეედინი, ვედახიშვილი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, დემიანენკო, ფედოროვი, შეინი.

ბალეტს განაგებს **ბალეტმეისტერი** ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ლ. ბ. შტეინბერგი.

შემდეგ რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ხვალ: ხვალ, პარასკევს, 23 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“, ოპერა 5 მოქ., მუს. ჰუნოსი.

შაბათს, 24 სექტემბერს, გაიმართება **წარმოდგენა** ცნობილ იტალიელ ტენორის, **ანჯელო გამბის** მონაწილეობით.

ბილეთები იყიდება.

კვირას, 25 სექტემბერს, 1905 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში (სასახლის ქუჩაზე) გამართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს მუსიკა.

ბაღში იქნება **სბაგშო** გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სიურპრიზები.

სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში გამართება

ცეკვა

ბაღში შესასვლელი ბილეთი დიდებისთვის ღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის — 10 კაპ. (6—2)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., სადამოთი 6—7 საათ. ყორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი ევრეიკა სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ეუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

. კი. ბაქელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

ბ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვი ?ი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 **სუთხეში**, ავტალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კირურგი. და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეას ქუჩა, № 91.

შინაური საქმიანობა

ძველებური წყობილება ძოიშალა. სავსებით დაეკარგა ნდობა იმ დაწესებულებათა, რომელნიც, დიდი ხანია, ხალხის თვალში ათვალისწუნებული იყვნენ. ძირიანად შერყა ცხოვრება. ხალხმა ძველი უარჰყო, მაგრამ ცხადია, ჩვენ მარტო უარყოფით ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა ძველის ნანგრევზე ახალი შენობა დაიდგას ხალხის ინტერესებთან შეთანხმელული, ხალხის მისწრაფებებთან შეგუებული. სხვა მხარეებთან ერთად ძირითადი ცვლილება განიცადა სასამართლოს საქმემაც. ბიუროკრატიულად მოწყობილი სასამართლო, ხალხისაგან მოწყვეტილი, ხალხის კულტურულ ინტერესებს და ზნე ჩვეულებას გარეშე აღმოცენებულ კანონებით ხელმძღვანელი, უარყოფილ იქმნა, როგორც გარეშე რამ, ნაძალადევი და ცხოვრებას შეუფერებელი. მხოლოდ, ხალხი უსასამართლოდ ვერ დარჩებოდა. რთული სოციალური ცხოვრება მოითხოვს, საზოგადოებამ მუდმივი თვალ-ყური ადევნოს თავის წევრებს, არ მისცეს ნება ერთს, რომ მეორე დასჩაგროს, შეურაცხჰყოს, გაანადგუროს. მოქალაქობრივი მშვიდობიანობა, პიროვნების უზრუნველყოფა ერთად ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ეს ხალხსაც კარგად ესმის, ის რეალურად გრძნობს თვის საკუთარ სასამართლოს საჭიროებას. შეგვიძიან ვთქვათ, რომ დღევანდელ მოძრაობაში სასამართლოების მოწყობის საქმე ერთი უმთავრეს საგანთაგანია. ამ სფერაში ხალხმა ყველაზე უფრო გამოიჩინა დამოუკიდებლობა და თავისი ძალა განსაზღვრული სახით ჩამოაყალიბა. ადვილად შეიძლება, ცხოვრების ბრუნვამ, მოულოდნელმა უკულმართობამ, გარედან მოვლენილმა, ხალხის დღევანდელი დამოუკიდებლობა ამ საქმეში შეზღუდოს. მაგრამ რაც უნდა იყოს, ძველებური რამ ვერ დაბრუნდება, მკვადრი რამ ვერ ადგება, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ცხოვრებისა და ხალხის მიერ შექმნილ ფორმებს ვერავინ წაშლის, ვერავინ გააქარწყლებს, სანამ ხალხი არსებობს, სანამ მას „პირში სული უდგია“. ამნაირად თუ ხალხი შეგნებულად განაგრძობს თავის მუშაობს,—და არავის არ აქვს საფუძველი წინააღმდეგი იფიქროს,—იგი აუცილებლივ მოიპოვებს მოქალაქობრივ უფლებას, ხალხის მიერ შექმნილს ურთიერთ დამოკიდებულებას გამოსარკვევი წესებით. ხოლო აუცილებლივ საჭიროა თავის წევრების გასამართლებაში, როგორც სხვა მოქმედებაშიაც, ხალხი დიდ დაფიქრებით მოიქცეს, იმუშაოს შეუწყვეტლივ და მუდმივი გაუმჯობესებით ისეთი ზომები შექმნას, რომელნიც მართლა ეთანხმებიან საზოგადოების ინტერესებს და მის ღირსებას შეეფერებიან. ადვილი გასაგებია, როცა საზოგადოებას ჰსურს მოსპოს ყოველი ბოროტება თავის წრეში, მოსპოს ყოველგვარი ვერაგობა. მაგრამ აქ საჭიროა დიდი წინდახედულება. ჯერ ერთი უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე სოციალურმა პირობებმა, რომელთა ნიადაგზე აღმოცენდა დღევანდელი სახალხო მოძრაობა, აღზარდეს ის ბოროტ-მოქმედნიც, რომელნიც დღეს საზოგადოების წინააღმდეგ მოქმედებენ. და სჩადიან ათასგვარ ავკაცობას. თავის მოტყუებაა იქნება ვიფიქროთ, რომ შეიძლება ავკაცობის მოსპობა, სანამ არ მოისპობა ამ ავკაცობის გამჩენი და მასაზრდოებელი პირობები. ამ შემთხვევაში მარტო ავკაცებს რომ ვებრძოლოთ, ხოლო ავკაცობის წყარო დავტოვოთ, ეს იგივე იქნება, რაიმე მოვლენის მოსასპობად ვებრძოლოთ შედეგს და მიზეზი კი შეუცვლელად დავტოვოთ. სანამ დღევანდელი ურთიერთობა არსებობს, სანამ დღევანდელი ეკონომიური წყობილება არის, შეუძლებელია, რომ რომელიმე ჯგუფმა, იდეალურ აზრებითაც გატაცებულმა, შესძლოს ავკაცობის ძირიანად აღმოფხვრა. როგორც პროსტიტუცია, ისე ქურდობა და სხვა ავკაცობაც, შავ აჩრდილივით თან ახლავს თანამედროვე წყობილებას. მათ მოსპობს მხოლოდ ახალი წყობილება, ერთობის ნიადაგზე დამყარებული. აქედან ჩვენ ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ გულხელდაკრეფილი ვუყუროთ ცხოვრების სიდუხჭირეთ და მას არ ვებრძოლოთ. ბრძოლა საჭიროა გამუდმებული, შეუწყვეტელი, მაგრამ რა ხასიათისა? ძსჯავრისდება ორგვარია: გამასწორებელი და დამსჯელი. დღემდის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში თითქმის სავსებით გამეფებულია დამსჯელი მსჯავრდება. დამნაშავე მოქალაქეს სჯიან მაგრამ რა შედეგი მოსდევს ამ სისტემას? საზოგადოებისთვის სასარგებლოა ის, თუ მავნე? აუცილებლილ მავნეა. დასჯა საპყრობილეთი, საჯაროდ შერცხვენით და სხვ. ამცირებს ისედაც სუსტ ზნეობის დამნაშავეს. ამნაირად საზოგადოება დამნაშავეში ამზადებს ახალ, უფრო ღრმა დანაშაულობის ჩამდენს, უხშავს მას გასწორების გზას, ზნეობრივ ნუგეშის და გამხნევების მაგივრ, რომელსაც დამნაშავე ასე საჭიროებს, იგი სასამართლოში პოვებს ზნეობრივ დამცემ ძალას; საზოგადოება თავის გულიდან იწყვეტს თავის წევრს სასამართლოს შემწეობით.

მაგრამ განა შეიძლება მისი ასეთი გამოთიშვა? დასჯილი ხომ მაინც საზოგადოებას უბრუნდება და იქ ტრიალებს. მეორეს მხრივ დასჯის სისასტიკე თვით საზოგადოებაზედაც ცუდათ მოქმედებს, საზოგადოებას ეჩლუნგება ზნეობრივი სიმახვილე, ის გულგრილად უყურებს თავის წევრის დამცირებას და ამით ველურდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენად ამა თუ იმ დასჯის წესების შემმუშავებული წრე დღენაკლებია, რამდენად იგი თავის უძლურებას გრძნობს, იმდენად უფრო სასტიკი და შეუბრალებელია. მომაკვდავი ცდილობს სისასტიკით მოიპოვოს ის ძალა და ავტორიტეტი, რომელიც მას ცხოვრების განვითარებამ ჩამოართვა. მაგრამ მისი ცდა ამაოდ რჩება, სისასტიკე მხოლოდ სიცოცხლის წამებს უმოკლებს. პირიქით, რამდენად ესა თუ ის საზოგადოება დარწმუნებულია თავის არსებობაში, რამდენად მას თავის თავის მეტი იმედი აქვს, რამდენად ის მეტი ცხოველმყოფელია, იმდენად იგი უფრო დინჯი და ლმობიერია, იმდენად უფრო შესაფერი აღმრზდელია. მან კარგად იცის, რომ მხოლოდ სასჯელით ავკაცობასთან ბრძოლა ავკაცობის გამრავლებაა.

მე მესმის, როცა განსაკუთრებით გურულები საოცარის სიფიზლით ეპყრობიან ავკაცობის საქმეს. მათ თითქო რცხვენიათ, რომ ისეთ უმაღლეს იდეალებით გატაცებულ საზოგადოებაში ბოროტ მოქმედება შესაძლო ხდება. მათ არ სურთ, რომ ეს ბოროტმოქმედება არსებობდეს და ეს სურვილი სამართლიანია. მაგრამ გადაჭარბება აქაც მავნე იქნება. სისასტიკე და საზოგადოებაში გაბახება ისეთის სიმკაცრით, როგორც ზოგიერთ შემთეევაში იქმნა გამოყენებული, საქმეს ავნებს. შეუძლებელია ერთი დაკვრით იმ ბოროტების მოსპობა, რომელიც საუკუნოებით იზრდებოდა, შეუძლებელია ერთბაშათ საზოგადოებრივ ზნეობის ისე გარდაქმნა, რომ არც ერთმა წევრმა არ დაარღვიოს საზოგადობრივი წესები და ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინოს. ამიტომ სისასტიკე, როგორც მიზნის არ მიმღწევი ზომა, უნდა უარყოფილ იქმნას. ბორკილები, დევნა და სხვა ასეთივე ზომები მეტად საფრთხილო რამეა. ქურდობისათვის ადამიანს სიცოცხლეს ვერ წაართმევთ, სიკვდილით დასჯა ბარბაროსობაა. ამის სურვილიც არავის არ უნდა ჰქონდეს. პირიქით საჭიროა აღმზრდელ, გამასწორებელ ზომებს მივმართოთ. მართალია, ისეთ საზოგადობრივ რყევის დროს, როგორც ახლაა, თავს წამოყოფენ ყველა ცუდი ზნეობის მქონენი, მაგრამ ამან არ უნდა დაავიწყებინოს საზოგადოებას თავისი ინტერესები, მან არ უნდა უარყოს მოქალაქობრივ არსებობის პრინციპები. საჭიროა მეტი ურთიერთის შეკავშირება, საჭიროა, როცა ავკაცობა მოხდა, გამასწორებელ ზომების მიღება. დეჩირის და შემცდარის გასწორება,—აი, რით უნდა ხელმძღვანელობდეს ხალხი. მაღალი შემოქმედებითი ძალა, რომელიც დღეს ხალხმა გამოიჩინა, საშუალებას მისცემს მას ეს დაბრკოლებაც სძლიოს და თავის წრეში აღზრდილი ორიოდე ავი კაცი ალაგმოს და გაასწოროს.

ბ. სურგულაძე.

სისასტიკე და თვითნებობა.

„არა-სასიამოვნო“ მოვლენათა მოსასპობად ზოგან მიაჩნიათ საჭიროდ სასტიკ ზომების მიღება, სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესები, სიკვდილით დასჯა და საზოგადოდ დაშინება იმათი, ვინც მთავრობის ყურ-მოჭრილი მონა არ არის.

ამ სისასტიკეს თავისი საფუძველი აქვს: როგორც ომის დროს ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეს არ ზოგავს არავინ, ისე შინაურ არეულობის ხანაში, როდესაც მთავრობა იძულებული ხდება აშკარად ებრძოლოს იმათ, ვინც მის საწინააღმდეგოდ აშკარადვეა გამოსული. სისასტიკე და შეუბრალებლობა აუცილებელ საბრძოლველ იარაღად მიაჩნია ორივე მოწინააღმდეგეს, სისასტიკით უნდა ორთავეს დაამარცხოს თავისი მტერი.

მაგრამ ომის დროს სისასტიკე არ არის უსაზღვრო,—სხვადასხვა კონგრესზე საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით სხვადასხვა ქვეყნის უფრო დაწინაურებულმა სახელმწიფოებმა ერთმანეთში პირობა დასდეს, რომ ომის დროსაც მოერიდებიან ადამიანის ტანჯვა-წამებას, ეცდებიან სიკვდილის დროსაც კი ააცდინონ მოწინააღმდეგეს წვალება და მტერში ადამიანის ღირსებას არ შელახავენ. ამ პირობების დამრღვევი ბოროტ-მომქმედადაა მიჩნეული, მათი დარღვევა მხოლოდ მებრძოლთა თვითნებობას თუ შეუძლია, მაგრამ ეს თვითნებობა, როგორც მავნებელი რამ, სასტიკად ისჯება.

თვითნებობა ბოროტ-მოქმედებად ხდის სისასტიკეს, თვითნებობაზე დამყარებული სისასტიკე აღმაშფოთებელია, როგორც ადამიანის ძირითად უფლებების უარის მყოფელი, სისასტიკეს შეიძლება შეეჩვიოს და შეურიგდეს ადამიანი, თვითნებობა კი ყველგან და ყველასთვის საზარელია.

სისასტიკეს შეიძლება დაადგეს დემოკრატიაც, შეიძლება მან იგი აუცილებლადაც მიიმჩნიოს მტრების დასამარცხებლად,—თვითნებობა კი შესაძლო არის მხოლოდ იქ, სადაც ადამიანის პიროვნებას არავითარი ფასი არა აქვს, სადაც ადმინისტრაციის დაბალ მოხელის ენინ და სურვილი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ხალხის კეთილდღეობა.

სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია შემოღებული, იქ მთავრობა, რასაკვირველია, მომეტებულის სისასტიკით ეკიდება მცხოვრებლებს. მაგრამ რაში გამოიხატება, ან რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს სისასტიკე? გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღებით ხალხს ის მცირედი მოქალაქობრივი უფლებებიც უნდა ჰქონდეს ჩამორმეული, რომელიც მას ამჟამად აქვს მინიჭებული, თუ ეს წესები საჭიროა იმისთვის, რომ შეუძლებელი შეიქმნეს ყველასათვის მოქალაქეთა ძირითად უფლების დარღვევა? საჭიროა ეს წესები იმისთვის, რომ მოისპოს ყოველივე კანონიერება და რომ კანონის ადგილს გაბატონდეს კერძო მოხელეთა პირადი სურვილი, თუ იმისათვის, რომ აღდგენილ იქმნეს ცხოვრების მშვიდობიანი მსელელობა და საამისოდ მეტი ძალა და გავლენა მიენიჭოს კანონებს?

ტფილისში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია შემოღებული, საზოგადოებასა და მწერლობაშიაც უკვე გაისმის აქა-იქ ჩივილი, რომ მის შემოღების შედეგად შემოსულ სისასტიკეს ხშირად თან ახლავს მოხელეთა თვითნებობა, რომელიც ისედაც აღელვებულ საზოგადოებას ზედმეტად აღელვებს და შეუძლებლად ხდის ცხოვრების მშვიდობიან განვითარებას. ვის არა აქვს წაკითხული ტფილისის რუსულ გაზეთში გამომჟღავნებული ფაქტი, რომ ჯარის კაცები, ქუჩაში გამვლელთა გაჩხრეკის დროს, განსაკუთრებულის სიამოვნებით და გულმოდგინებით, უსინჯავენ გულ მკერდს ახალგაზდა ქალებს, რომ ეს „გაჩხრეკა“ შეურაცხყოფელ სახეს იღებს და ხშირად გარეშე მაყურებელსაც აშფოთებს...

ჩვენ არ ვიცით, რამდენად აღწევს დასახულ მიზანს გამვლელთა გაჩხრეკა ქუჩაში,—გაზეთებში ჯერ არსად გამოცხადებული არ ყოფილა იმის ცნობა, თუ რამდენი იარაღი ჩამოერთვა ამნაირად ქუჩაში გამველელებს, მათი გვარებიც არ არის გამოცხადებული და ამიტომ ვერ ვიცით, მართლა თუ ჩამოერთვა იარაღი ზოგიერთს,—ეს ზოგიერთი მართლა მთავრობისათვის „საეჭვო“ პირი იყო თუ არა. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ 29 აგვისტოს მომხდარ ამბების შემდეგ, თვით მთავრობამ გამოაცხადა, ხალხიდან ესროდნენ ჯარებსო, და ამით აღიარა, რომ იარაღი ხალხს მაინც ჰქონდა, რომ გამვლელთა გაჩხრეკამ ამნაირად თავის მიზანს ვერ მიაღწია.

ჯერ სანამ მოხსენებული სიები არ არის გამოცემული, ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად სასრგებლო შეიქმნა მთავრობისათვის ხალხის გაჩხრეკვა ქუჩებში, გაჩრეკა, რომელიც ფაქტიურად სპობს პიროვნების ხელუხლებლობას. ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსულ გაზეთებისგან აღნიშნული ფაქტი ქალის შესახებ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად გამჯდარი აქვს ძვალსა და რბილში თვითნებობა იმათ, ვინც წინანდელ ბიუროკრატიულ რეჟიმის დროს აღიზარდა და ვისაც ჰგონია, რომ ამ რეჟიმს თავისი წინანდელი ბატონობა დღესაც შერჩენილი აქვს.

მოხელეთა თვითნებობა, რომელიც მთავრობისაგან დაუსჯელი რჩება, მხოლოდ ამწვავებს საქმეს და შეუძლებლად ხდის ცხოვრების მშვიდობიან განვითარებას. ადამიანის პირად ღირსების პატივისცემა, მისი ხელუხლებლობა, მოეთხოვება ყველას და მით უფრო იმას, ვინც თვითონ კანონიერების დასამყარებლად არის დაყენებული.

ი. ლ—ძე.

კავკასიის წარმომადგენლობა

—:—

დღეს იბეჭდება ოფიციალური ცნობა სახელმწიფო სათათბიროსთვის ასარჩევ წარმომადგენელთა განაწილების შესახებ კავკასიის გუბერნიებზე. სულ დანიშნულია კავკასიიდან 29 წარმომადგენელი, ამათგან 9 უწევს ჩრდილო კავკასიას და 20 — ამიერ-კავკასიას.

თუ მცხოვრებთა საერთო რიცხეს ავიღებთ, ამიერ-კავკასიაში თითო წარმომადგენელი მცხოვრებთა თითქმის იმდენსავე რიცხვზე მოდის, რამდენზედაც შიდა რუსეთში. იქ თითო წარმომადგენელი დანიშნულია 250 ათას მცხოვრებზე, აქ-კი, თუ 1895 წლის აღწერის ციფრებით ვიხელმძღვანელებთ, — 278 ათას მცხოვრებზე, ვინაიდან მთლად ამიერ-კავკასიაში, 1897 წელს, 5 მილიონი და 576 ათასი მცხოვრები იყო და, მაშასადამე, 20 წარმომადგენლიდან ყოველ 278 ათას მცხოვრებს ერთი წარმომადგენელი უწევს.

ამგვარად წარმომადგენელთა რიცხვის განაწილება ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება იმ ნორმისაგან, რომელიც დაწესებულია შიდა რუსეთის გუბერნიებისათვის.

მაგრამ, თუ კავკასიის გუბერნიებს ავიღებთ ცალ-ცალკე, მაშინ კი წარმომადგენელთა რიცხვის განაწილებაში თვალსაჩინო უსწორ-მასწორობას შევამჩნეთ. თითო წარმომადგენელი ჰყავთ მიკუთვნებული: ყარსის ოლქს (290 ათასი მცხოვრები), სოხუმის ოლქს (105 ათასი მცხოვრები), ბათუმის ოლქს (144 ათასი მცხოვრები), ზაქათალის ოლქს (84 ათასი მცხოვრები), შაკიზღვის პირის გუბერნიას (57 ათასი მცხოვრები). თუ ზაქათალისა და სოხუმისა ოლქის და შავიზღვის პირის გუბერნიის მცხოვრებთ გამოაცალკევებთ, იმ შემთხვევაში 5 მილიონსა და 166 ათას მცხოვრებს ამიერ-კავკასიისას უწევს 17 წარმომადგენელი, ანუ ერთ წარმომადგენელი 320 ათას მცხოვრებს. ცხადია, ასეთი განაწილება არაა სამართლიანი, ვინაიდან ერთსა და იმავე დროს, 100 ათასი და 320 ათასს თანასწორი საშუალება ეძლევა თავის ინტერესების დასაცველად.

ეს უსწორ-მასწორობა კიდევ უფრო დიდია, თუ თითოეულ გუბერნიას მივიღებთ მხედველობაში. ქუთაისის გუბერნიაში 1897 წელს 808 ათასი მცხოვრები იყო, ტფილისისაში (უტფილისოდ) 718 ათასი, განჯისაში—878 ათასი. წარმომადგენელი კი ჰყავს: ქუთაისის გუბერნიას—2 (404 ათას მცხოვრებზე ერთი), ტფილისისას (უტფილისოდ)—(235 ათას მცხოვრებზე) ერთი, განჯისას—2 (292 მცხოვრებზე ერთი), ბაქოს გუბერნიას (უბაქოოდ)—2 (350 ათას მცხოვრებზე ერთი), ერევნისას—2 (415 ათას მცხოვრებზე ერთი). ამგვარ წესის წყალობით განსაკუთრებით ქუთაისისა, ტფილისისა და ერევნის გუბერნიები რჩებიან წაგებულნი.

სომეხ-მაჰმადიანთა ურთიერთობა

აღმოსავლეთ კავკასიაში დღესაც კიდევ არ სცხრება ის საშინელი ამბები, რომელთაც მრავალი, სიცოცხლით სავსე ადამიანი იმსხვერპლეს, —დღევანდელ დეპეშებშიაც ვკითხულობთ, რომ ერევანში ისევე თოფის სროლაა, რომ ამ ამბების გამო იქ ადამიანის სისხლი ისევ დაღვარა ქუჩაში.

როდის მოისპობა ეს გამწვავება? ჩვენ ამას წინათაც ვამბობდით და ამასვე ფიქრობს უთუოდ ყოველი ადამიანი, რომელიც მტრობით და სიძულვილით არ არის დაბრმავებული, რომ ვერც შემარიგებელი კომისიები და ვერც სხვა რომელიმე ამის მაგვარი ზომა ვერ მოსპობს სისხლის ღვრას, თუ ორივე მოწინააღმდეგემ გულახდილად არ აღიარა თავისი შეცდომა და შემდეგ შიაც ეცადა, ამ ამბებში მხოლოდ მოწინააღმდეგე გამოიყვანოს მტყუანად. ჩვენ ვამბობდით, რომ არ შეიძლება „შაითანის“ დასახელებით, ან „პანისლამიზმით“ ადამიანმა ახსნას ის, რასაც სხვა უფრო ძლიერი მიზეზები აქვს, რომ საჭიროა **ნამდვილ** მიზეზების გარკვევა იმისთვის, რომ შემდეგში მაინც ამ მიზეზების მოსპობით თავიდან აიცდინოს ადამიანმა დღევანდელი გამწვავება და უბედურება.

მიზეზების გადაფუჩეჩებას ნიშნავს, რომ ახლანდელ საშინელ განხეთქილებას ეროვნული მიზეზი აქვს და ცხოვრებას საზოგადო მოუწყობლობამ მისცა აღმოსავლეთ კავკასიაში ხალხის მოძრაობას ის მიმართულება, რომელიც სისხლის ღვრით დასრულდა?

მართლაც, ნუთუ მაჰმადიანები თავის მოქმედებაში მხოლოდ სარწმუნოებრივ გრძნობას მისდევენ და ნუთუ მათი სარწმუნოება მათ ხოცვა-ჟლეტას და ძალმომრეობას ავალებს? არა! ამ სარწმუნოებას მაჰმადიანები წინადაც ადგნენ კავკასიაში და ხოცვა-ჟლეტა კი არასოდეს არა ყოფილა და ახლაც, ამ გამწვავების დროს, მხოლოდ სომხებსა და მაჰმადიანებშია კაცის კვლა, სხვა ეროვნებას მაჰმადიანები არა ემტერებიან და მაჰმადიანებსაც სხვები არ ემტერებიან.

ან განა შეგვიძლიან დღეს ეთქვათ გადაწყვეტით ვინ იყო ხოცვისა და ჟლეტის პირველი დამწყები, სომხები თუ მაჰმადიანი,—ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ორივე მოწინააღმდეგე ამ სისხლის ღვრას მედგრად განაგრძობდა, რომ ორივე, წარმოიდგინეთ, თითქმის თავსაც იქებდა „მხნეობით“. მაჰმადიანი და სომეხ გრიგორიანიც,—ამ სისხლის ღვრაში ორივე თანასწორი მონაწილეა.

ამბობენ—მაჰმადიანები თავის მოქმედებაში უფრო ემონებიან სარწმუნოებას, ვიდრე მეზობელი ერებიო. ჩვენში მაჰმადიანთა სარწმუნოებას ნაკლებად იცნობენ ისევე, როგორც ებრაელების სარწმუნოებას და როგორც ებრაელების შესახებ ზოგიერთა თავზე ხელაღებული ადამიანი ხმას ავრცელებდა, —ქრისტიან ბავშვებს კლავენ, მათი სისხლი უხდათ წირვისთვის, როგორც ებრაელების შესახებ ზოგიერთი ხულიგანი ძწერლობასა და საზოგადოებაში ამ ჭორით სარგებლობდა იმისათვის, რომ ებრაელები ქრისტიანების მტრად და საშიშ მტრად დაესახათ, ისე მაჰმადიანების შესახებ ჭორს ავრცელებენ, ისინი პანისლამიზმის გავლენით სარწმუნოებრივ ომს იწყებენო, „გაზაკატს“, რომ ყველა ქრისტიანე უხდა შეერთდესო მათ დასამხობად.

ალბა! ამნაირ ჭორებით მშვიდობიანობის ჩამოგდება არ შეიძლება. ამნაირ ჭორების შეთხზვა და გავრცელება საქმეს ამწვავებს და სისხლის ღვრის მიზეზად ხდება.

საჭიროა ბიუდგოძლობა და მოწინააღმდეგის პატივის-ცემა. როდესაც დამოკიდებულება გამწვავებულია, მაშინ ეს ორი თვისება ერთი-ორად არის საჭირო და ყოველი მიუდგოძელი ადამიანი კი უთუოდ იძულებული იქმხყბა აღიაროს, რომ სომეხ-მაჰმადიანთა ურთიერთობაში და იმ ამბებში, რომელიც აღმოსავლეთ კავკაზიაში ხდება, უმთავრესი ძნიშვნელობა ჰქონია ეროვნულ საკითხს და არა საოწმუნოებრივ გახსეთქილებას.

სანამ ამას გარკვევით და გაღაჭოილად არ აღიარებს ორივე მხარე, ხანგრძლივი ძალიგება და მშვიდობიანად ერთად ცხოვრება ძნელი იქმნება, ვინაიდან სხოლოდ ამის აღიარებას მოჰყვება საჭირო ეროვნულ რეფორმების გარკვევა და მეთოდება კავკასიაძი. ძესაფერი ეროვნული ოეფორმები ძეუძლებელად გადდიან ეროვნულ სიძულვილს და ძაუო უთიერთობასაც დაამყაროებენ კავკასიის ერებში.

კ. ს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საგენტოებისაგან)

21 სექტემბერი.

პეტერბურგი, 20 სექტემბერი. სახელმწიფო სათათბიროს წევრთა რიცხვის განაწილება კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში. ბაქოს გუბერნია: ქ. ბაქოში—1, დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში—2. ბათუმის ოდქში—1, დადესტანისაში—2, განჯის გუბერნიაში—3, ზაქათალის ოდქში—1, ყარსის ოდქში—1, ყუბანის ოდქში: ყაზახებისაგან—3 სხვა მცხოვრებთაგან—3. სოხუმის ოდქში—1, თერგის ოდქში: ყაზახებისაგან—1, დანარჩენ მცხოვრებთაგან—2. ტფილისის გუბერნია ქ. ტფილისში—1, დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში—2, შავის ზღვის პირა გუბერნიაში—1, ერევნის

პეტერბურგი, 20 სექტემბერი. განსაკუთრეგუბერნიაში—2, სულ 29.

ბული წესები კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში სახელმწიფოს სათათბიროს წევრთა ამოსარჩევად. თერგისა და ყუბანის ოლქებში უნდა შესდგეს ორ ორი საოლქო ამომრჩეველთა კრება. თითო კაზაკთაგან და თითო დანარჩენ მკვიდრთა ამომრჩეველთაგან. თითოელ მაზრასა ოლქს და განყოფილებაში, გარდა ქვემოდ ჩამოთვლილებისა, უნდა შესდგეს სამი ამომრჩეველთა კრება: მიწათმფლობელთა, ქალაქის ამომრჩეველთა და სოფლის ყრილობათაგან. იმ განყოფილებაში, სადაც კაზაკთა სტანიცებია, უნდა მოხდეს ამომრჩეველთა კრებები სტანიცების წარმომადგენელთაგან. ბათუმის ოლქის ართვინის მაზრა და ყარსის ოლქის ყველა მაზრებში კერძო მიწათმფლობელთა კრებები არ უნდა მოხდეს. ის პირნი, რომელნიაც ამორჩევის უფლება აქვთ, მონაწილეობას იღებენ ქალაქის ამომრჩეველთა კრებებზე. ქალაქის ამომრჩეველთა კრებებზე მონაწილეობას არ იღებენ შემდეგ მაზრებისა და განყოფილებათა მცხოვრებნი: ბორჩალოსა, თიანეთისა (ტფილისის გუბერნია) ლეჩხუმისა, რაჭისა და შორაპნისა (ქუთაისის გუბერნია) არეშისა, ჯებრაილისა, ჯერვანშირისა და კაზახისა (განჯის გუბერნია) გეოგჩაისა (ბაქოს გუბერნია) სურმალინისა, შარურო-დარალგეზისა და ეჩმიაძინისა (ერევნის გუბერნია) ქიურინისა (დაღესტნის ოლქი), ბატალპაშინისა, კავკაზსკაისა და ლაბინსკისა (ყუბანის ოლქი), ნალჩიხსკისა, ხასავ-იურტისა და სუნჟენის განყოფილება (თერგის ოლქი). ის ოლქები, სადაც არ მოხდება ქალაქებისაგ მიწადმფლობელ ამომრჩეველთა კრებები შემდეგია: ავაოისა, ანდრეისა, გუნიბისა, დარგინისა, ყაზიყუმიხისა ბ სამურისა (დაღესტნის ოლქი). იმ მემამულეთ, ვინც ამიერ კავკასიაში საერობო გადასახადს მიწაზე წელიწადში იხდის არა ნაკლებ ხუთის თუძნისა, თერგისა და ყუბანის მცხოვრებლებს, რომლებიც წელიწადში სახელმწიფო გადასახადს იხდიან არა ნაკლებ 11 მანათისა, იმ პირთ, რომლებიც ამიერ კავკასიაში საერობო გადასახადს იხდიან არა ნაკლებ 5 მან., ხოლო თერგისა და ყუბანის ოლქებში—არა ნაკლებს 1 მ. და 10 კაპიკისა, ამომრჩეველთა კრებებზე მხოლოდ თავის რწმუნებულთა გაგზავნა შეუძლიანთ.

ხარბინი, 19 სექტემბერი. თავად ვასილჩიკოვის თავმჯდომარეობით მოხდა რჩევა წითელის ჯვრის 50 მოდგაწისა. გადასწყვეტეს, ითხოვონ, რომ ომში დაჭრილთა ნება-ყოფლობითი დახმარების ინიციატივა უმთავრესმა გამგეობამ იკისროს. სარგანიზაციო ბიუროს წევრებად ამოირჩიეს: გუჩკოვი, კორლეკი, ნიტტე და მეკკი.

ოდესა, 19 სექტემბერი. სტუდენტების შემდეგ კურსზე ბარობით არ გადაიყვანენ. სტუდენტებს ისევ იმავე კურსზე დარჩენენ და სამოსწავლო წელიწადს სამს სემესტრად გაჰყოფენ.

პარიზი, 20 სექტემბერი. „ეურნალ დედბა“ რუსეთისა და ინგლის-იაპონიის კავშირის ურთიერთობას ახლავს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შორეულ აღმოსავლეთში კონკურენცია ამ ორ სახელმწიფოს შორის ისევ უთანხმოებას ჩამოაგდებსო. კავშირი კი ოფიციალურად ისევ ძალაში იქნება, რადგანაც ფაქტიურად უკვე გაუქმდებაო. ამ დროთი რუსეთი ისარგებლებს და აზიაში სამხედრო ძალებს გაამაგრებსო.

სტამბოლი, 19 სექტემბერი. სტამბოლში მეოთხე ვეფიოფრიტანიის ეფხი დროებით სამსახურს თავს ანებებს, რადგანაც სმირნა-ინდოეთის გზის შესახებ სულთანმა ინგლისს უარი შეუთვალა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ სულთანმა ინგლისს უარი იმიტომ ვინ ვინ ვინ ვინ ვინ ... ...

სტუდენტების კეთილ-გონიერებას მიმართავ და ვცადებ, რომ, თუ სტუდენტების კრებას უნივერსიტეტის შენობაში უტხო ბარი დესწრობა, დაჯარიმებული იქმნებითო.

კლოცი, 20 სექტემბერი. მუმამუდეთა პარტიამ სასელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლის კანდიდატად სოდხოვსკი დასახელა, ებრაელთა პარტიამ ნოფიი გეკადი ნეიმარკი.

ერევანი, 20 სექტემბერი. გუშინ, სადამოს 5 საათზე, ბულვარზე თოთრებსა და სომხებს შეტაკება მოუვიდთ, სროლა ოც წუთს გაგრძელდა, მოკლულია ორი თათარი და რვაც დაჭრილია.

ყვირილა, 20 სექტემბერი მოკლეს და გაძარცვეს კასსირი, რომელიც საქონლის სადგურიდან ბრუნდებოდა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲒᲘᲓᲐᲜ.

საყოველთაო არჩევნების საკითხი ავსტრიაში. როგორც ვიცით, ჰუნგრეთის სოციალისტებმა გადაჭრით და მტკიცედ მოითხოვეს ჰუნგრეთში საყოველთაო არჩევნების შემოღება. ჰუნგრელებს ავსტრიის სოციალისტებიც მიჰყვნენ და თავისთვისაც მოითხოვეს ეს რეფორმა. ვენაში ამ დღეებში ავსტრიის სოციალ-დემოკრატების კრება მოხდა. კრებამ შეიმუშავა ვრცელი მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: „მუშებო! ამ სახელმწიფოს ბატონებს დაუმტკიცეთ, რომ მოთმინების ფიალა აივსო და რომ ავსტრიის ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავის ძალ-ღონით იბრძოლოს საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებისადმი. მინისტრი გაუჩი წინ აღუდგა საყოველთაო არჩევნების შემოღებას ჰუნგრეთში იმ მიზეზით, რომ, თუ ჰუნგრეთს მივანიჭებთ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაშინ ავსტრიაშიც უნდა შემოვიღოთ ასეთივე რეფორმა. აბა, დაფიქრდით, მუშებო! თქვენი უფლების დაკმაყოფილება მინისტრს სახელმწიფოსთვის სახიფათოდ მიაჩნია. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიამ ა-ეთი პასუხი უნდა გასცეს მინისტრს: ძირს გაუჩი! ძირს ბოლიტიკური უპირატესობა და გაუმაჯოს საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებას“!(ს.ო.)

სენის დეპარტამენტის სოციალისტთა რეზოლუცია. სენის დეპარტამენტის სოციალისტთა კომიტეტმა ეფერგიულად დაჰგმო და გაჰკიცხა პარიზის ქალაქის საბჭოს თაიმჯდომარე ბრუსი იმის გამო, რომ ბრუსმა ძონაწილეობა მიიღო ესპანიის მეფის ალფონსის დახვედრაში. როგორც იცით, ბრუსი სოციალისტია (ს. ო.).

იაპონიაში. პარიზიდან „რუსს“ დეპეშით ატყობინებენ: „ჩამოვარდება თუ არა შორეულ-ალმოსავლეთში მშვიდობიანობა, იაპონიის იმპერატორი კორეისა და პორტ-არტურის სანახავად წავა. ამავე დროს იაპონელები პორტ არტურის გამაგრებას შეუდგებიან. რუსების-მიერ აშენებულ ციხეს და სიმაგრეებს დაანგრევენ და ახალს აშენებენ. ამ საქმეს შეასრულებენ იაპონელები ინგლისის ინჟენერების დახმარებით. მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: იაპონია ინდოეთში სამხედრო მისიას გზავნის. მისიამ ჯერ ინდოეთის ჩრდილოეთით აგებული სიმაგრეები უნდა შეისწავლოს, მერე გერათსა და სამხრეთ სპარსეთსაც ეწვევა. იაპონიის მთავრობა დაჰპირდა ინგლისს, ამ მოკლე ხანში საჭირო ცნობებს მოგაწოდებთ ჩრდილოეთ სპარსეთისა და სამხრეთ კავკასიის საზღვრების შესახებაო (რ. ვ.).

იაპონიის ელჩის პროტესტი. „რუს. სლოვოს“ ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: „ბერლინის პრესსა ძალიან გაჯავრებულია იაპონიის ელჩზე გრაფ ინუეზე, რომელმაც „გაბედა“ და გერმანიას კანცლერს ბიულოვს მოსთხოვა, ამიხსნით რას ნიშნავს თქვენი იმპერატორის რამდენიმე სიტყვა ყვითელ საფრთხეს შესახებაო (ს. ო).

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(დეპეშა საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. საგუბერნიო რჩევა დასრულდა. ნამესტნიკის საბჭოში გასაგზავნად ამორჩეულ იქმნა ზდანოვიჩი, მის კანდიდატად—იაკობ ფანცხავა. გუშინ 16 წამომადგენელი კრებიდან გავიდა. მათ გასვლის შემდეგ, თეატრში პეტარდა შემოაგდეს და ჰარში რევოლვერები ისროლეს. მაგრამ კრება მაინც ვერ ჩაშალეს. დანარჩენმა წარმომადგენლებმა კრება განაგრძეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ სამშაბათს, 20 სექტემბერს, კერძო კრებაში ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო **საბჭოსა და გამგე კომიტეტის შორის მორიგება მოხდა.** კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ კომიტეტმა საპედაგოგიო საბჭოს დაუკითხავათ არა გადასწყვიტოს-რა. კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას დროებით გენერალ-გუბერნატორის წინაშე საზოგადოებას კრების ნება დართოს ამ თვის 25 სექტემბრისათვის.

✦ ტფილისში ბათომიდან **დეპუტაცია ჩამოვიდა** ი. ზ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით. დეპუტაციამ უნდა სთხოვოს ნამესტნიკს, რომ ქალაქი ბათომი გაანთავისუფლონ ჯარების შენახვისაგან.

✦ უმაღლესის ბრძანებით, მიწად-მოწყობისა და მიწად მოქმედების მთავარ სამართველოს უფროსს მიენიჭა უფლება 1905 წლის განმავლობაში **გლეხებს შემდეგი დროებითი შეღავათი მისცეს:** ა) დაუკლოს, ან სულ აპატიოს სახაზინო მიწებზე საიჯარო გადასახადი გლეხთა საზოგადოებისა ან ამხანაგობათა შუამდგომლობით, თუ ამ საიჯარო გარდასახადთა გადახდას ვერ შესძლებენ მეურნეობის დაცემის გამო, მაგ, სეტყვისა, მოსავლობისა, ცეცხლის გაჩენისა, ან სხვა ამგვარ მიზეზებით; ბ) ზემოხსენებულ მიზეზების დასახელების დროს, ყოველ თითოეულ შემთხვევაში უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, რომ საიჯარო გადასახადის გაღება არ შეუძლიან ამა თუ იმ სტიქიერ გარემოების გამო, და ხსენებულ სამართველოს შეუძლიან ადროვოს საიჯარო გადასახადის შეტანა გლეხთა საზოგადოებას, ან ამხანაგობას 5 წლის განმავლობაში, ისე, რომ არ ჩაუთვალოს პროცენტები და არც ბე მოსთხოვოს. ეს უმაღლესი ბრძანება მიწად-მოწყობისა და მიწად-მოქმედების მთავარ სამართველომ აცნობა ყველა მის ქვემდებარე დაწესებულებას და მიანდო, რომ ამგვარი შუამდგომლობანი უსათუოდ ადგილობრივ გუბერნატორსაც აცნობონ და გუბერნატორის აზრთან წარმოადგინონ უმთავრესს სამმართველოში.

✦ 19 სექტემბერს ბათუმიდან გამოგზავნეს ზარბაზნები, **რომლებსაც სოფლებში დაგზავნიან** (ჩ. ვ.).

✦ 15 სექტემბერს, სოფელ გერეთში (განჯის მაზრა) მოუკლავთ 5 სომეხი. გენერალ-გუბერნატორის გენ. თაყაიშვილის განკარგულებით, ამ სოფელში 30 კაზაკი ეკზეკუციად ჩაუყენებიათ.

✦ ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ ახალ ბაიაზეთის გზატკეცილზე მოჰკლეს ერევნის ოლქის სამმართველოს მოხელე ციბულსკი და დასჭრეს მომრიგებელ შუამავლის თარჯიმანი ყაზიევიო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **ციბულსკი მოუკლავს ადგილობრივ მცხოვრებ სოსი პოსტოიანცს.**

✦ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით ამ დღეებში ყარსიდან **მცხეთასა და გორში გაიგზავნება** ჩერნომორის კაზაკთა პოლკის ორი ასეული, ხოლო განჯაში გაიგზავნება ტფილისიდან ნიჟეგოროდის პოლკის ერთი ესკადრონი.

✦ „არშალეის“-ის სიტყვით, შუშიდან გზაზე მიმავალი 7 სომეხი, რომელთა შორის 4 ქალი იყო, **მაჰმადიანებს ტყვედ წაუყვანიათ.** ტყვეების საძებნელად ჯარი გაიგზავნა.

✦ 17 სეკტემბერს, ქუთაისში **სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რამდენიმე მუშისა,** რომელთაც ჭიათურაში ბოქალის აწყრლისა და ორი სტრაჟნიკის მოკვლა და პოლიციის შენობის გადაწვა ბრალდებოდა. სასამართლომ 5 მუშა დაშნამავედა სცნო და შალვა ჯაფარიძესა, მიხეილ ვაშაძესა და რევასტი სილაძეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ხოლო დანარჩენს ორს კატორგაში გაგზავნა, იოსებ ვაშაკიძეს—უვადოდ და სარდიონ კაპანაძეს—15 წლით.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო სიღნაღის მაზრის სოფ. ჭიაურში **დასახლებულ რუსებს** შენობების ასაგებათ **სესხათ მიეცეთ** 2410 მანათი.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა წინადადება მისცა კავკასიის სუნიტთა მეჯლისის გამგეობის თავმჯდომარეს **შეადგინოს განსაკუთრებული სათათბირო,** რომელმაც უნდა განიხილოს სარწმუნოებრივი საკითხი კავკასიის მუსულმანებისა და გადაათვალიეროს მუსულმანების სასულიერო საქმეების საწარმოებლად გამოცემული კანონმდებლობა. ამ მოწერილობისა გამო კავკასიის მუფტიმ ამ თვის 30-ისათვის ტფილისის გუბერნიის ყველა ყაზიები ტფილისში მოიწვია.

✦ ქვემო-ქალის (ქართლი) სოფლის საზოგადოებას აურჩევია თავის მხრივ 6 კაცი, რომელთაც ალ. აბაზაძესთან ერთად უნდა შეიმუშაონ პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ურთიერთობა და როგორ დამყარდეს **მშვიდი განწყობილება გლეხებსა და თავად-აზნაურებს შორის.**

✦ საჯავახოსა და სამტრედიას შუა სამხედრო მატარებელს, რომელსაც კაზაკები მიჰყავდა, **თავს დაესხნენ შეიარაღებული კაცები** და სროლა აუტეხეს. იმათაც პასუხი გასცეს. სროლის დროს არავინ მომკვდარა.

✦ უწმ. სინოდმა აცნობა სინოდალურ კონტორას: ჩააგონეთ ენენვის უნივერსიტეტის სტუდენტს მღვდელ სერაფიონ დადუნაიშვილს მღვდლობიდან გადადგომაზე ნუ აჩქარდებაო, და თუ ვერ დაიყოლიეთ, ჯერ კანტორამ დაადგინოს მის გადაყენების საქმე და მერე სინოდს ისე მომართეთო.

✦ ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორმა მღ. სერგი გოროდცევმა **ოფიციალური ქალალდი შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.** მის ალაგას ასახელებენ ამ სასწავლებლისავე მასწავლებელთ ნ. ვ. პოლიტოვს და ი. ი. ფერაძეს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდან მალაკანი ექიმი პრახონოვი და სამხედრო **დარბაზში კრება გამართა.** პრახონოვმა წინადადება მისცა შეადგინონ მალაკანთა კავკასიის კავშირი გაერთიანების საქმის დასაჩქარებლად, შეადგინონ თავიანთი წესდება და ნამესტნიკს დასამტკიცებლად წარუდგინონ.

✦ სამშაბათს, 20 სეკტემბერს, **სურამს წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია:** თავმჯდომარე დ. ე. ჩერნიკი, სასამართლოს წევრი—ნ. ა. ტარსაიძე, ბრალმდებელი—ა. ა. ყარაევი. მეორე წევრად მიწვეულია საპატიო მომრიგებელი მოსამართლე თავ. გ. დ. ვეზირიშვილი. სესსია დაიჩება 28 სეკტემბრამდე. 24-ს გაირჩევა საქმე ბორჯომის მამულიდან მოტაცებულ ტივების შესახებ. ამ საქმის გარჩევის დროს, თავმჯდომარედ იქმნება კ. ლ. ლემმერმანი.

✦ ბ ნ ჭიკინაძის კომისიის მიერ **შემუშავებული სასწავლო გეგმა** სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დასამტკიცებლად წარუდგინა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს, რომელმაც დაამტკიცა იგი უცვლელად და ნება დართო ამ პროგრამით შეუდგნენ სახალხო სკოლებში სწავლას საცდელად. ამ საგნის შესახებ მიწერილობანი უკვე დაეგზავნა სახალხო სკოლების გამგეთა და მზრუნველებს. რაც შეეხება ტფილისის თვით-მართველობას, 19 პირველ დაწყებითი სკოლა აქვს და ყველგან წელს სწავლა ძველის პროგრამით დაიწყეს. („ც. ფ.“).

✦ სოფ. ცევის მცხოვრებლების შუამდგომლობა, რომ შორაპანსა და ძირულას შუა გაიმართოს პლატფორმა, **შეწყნარებულ არ იქმნა,** რადგან რკინის გზის გამგეობამ განაცხადა, ამ პლატფორმას 550 მან. მოუნდება და ეს ფული ამჟამად არა გვაქვსო.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება **სასტატისტიკო ბიუროს დაარსების** შესახებ დამტკიცებულ იქმნა. 19 სექტემბერს გამგეობამ დაადგინა, ბიუროს გამგედ მიიწვიოს ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი თავ. პ. ა. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც სამსახურს 20 სექტემბრიდან შეუდგება. ბიუროს გამგეს 3000 მანეთამდე ექმნება ჯამაგირად.

✦ სამშაბათს, 30 სექტემბერს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში **კრება მოხდა ტფილისის მოქალაქეთა ს. ა.** დანდურვის თავჯდომარეობით. კრებას 67 მოქალაქე დაესწრო. მოქალაქეთა მოურავად ერთხმად არჩეულ

იტალია“, და თავის მებრძოლ ლოზუნგზე დაწერა: „თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანობა, ერთობა, დამოუკიდებლობა“...„ნორჩი იტალიას“ უცხოელთა განდევნა სურდა და რესპუბლიკის დამყარება. მაზინი კარგად იცნობდა წინაპართა შეცდომებს, მან იცოდა, რომ ხალხი სიიდუმლო შეთქმულობით და წრეებრივი მოქმედება არსებულ ბოროტების დაშობას ვერ შესძლებს; მან საძირკვლამდე ჩაჰხედა ცხოვრებას, ალლო აუღო, გაუგო ჰანგი და ჰქადაგებდა, რომ ხალხის თავისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ხალხივე მოიპოვებსო...1831 წლიდან, როდესაც მაძინი სატუსალოდან გაანთავისუფლეს, მისი ენა და ფეხი არ დამდგარა...მისი მისწრაფება, მისი სიყვარული თავისუფლებისა, მისი მტკიცე რწმენა რევოლუციის აუცილებლობისა უაღრეს წერტილამდე აღწევდა, ფანატიკურ რწმენად ხდებოდა. „ნორჩი იტალია“—არ არის სექტა, არც პარტია,—ეს ღვთაებრივი სარწმუნოებაა, ღვთის მსახურებაა, მოციქულებრივი ღვაწლმოსილობაო“,—ამბობდა მაძინი. მას სწამდა, რომ რევოლუციის სათავეში საჭიროა ენერგიული, პირმტკიცე, ღირსეული ბელადები, და ჰქადაგებდა: „მიეცით თავისუფალი გზა ახალგაზდობას, შთააგონეთ მას კეთილშობილური მისწრაფებანი, წაიმძღვარეთ იგინი რევოლუციის სათავეში, აგემეთ მას ნეტარი გრძნობა თქვენის ნდობისა, განაცდევინეთ მას სიამოვნება თქვენის ქებათა ქებისა, მიუჩინეთ იგინი ხალხის დაუძინებელ მოსისხლე მტერს, შავბნელ ძალებს, გაჰყეთ მათ უკან და მაშინ ნახავთ“...

მაძინი სახალხო გმირად გახდა. მისი ხსენება ბაფერფლილ სასოებას უღვიძებდა მძიმე უღელქვშ მკვნესარე ხალხს... მისი სახელი თავზარსა სცემდა ევროპის მბრძანებელთ... ეს ძლევამოსილი გვირგვინოსნები, რომ შესაძლო ყოფილიყო, კარპატის მთებს ერთიანათად აამღლებდნენ და თავის მიჯნებზე გადმოიტანდნენ, რომ თავისუფლების გუგუნი, თავისუფლების დიადი ჰანგი მათს ხალხსაც გულის სიღრმეს არ ჩასწვდომოდა. საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპი სასტიკად სდევნიდა ყველას, ვინც კი მაძინის ახსენებდა, ვინც მისს მოწოდებას კითხულობდა. მაგრამ რა დაუდგება წინ თავისუფლების ხმას!.. მაძინის მოწოდებანი მარსელიდან მთელს საფრანგეთსა და შვეიცარიას ეფინებოდა.

„ნორჩ იტალიის“ ლაშქარი საშინელ დევნას განიცდიდა, აუარებელ მებრძოლ ძალას სწირავდა მთავრობის სამსხვერპლოზე... მაგრამ ერთხელ აგორებული ცხოვრება, ერთხელ მოფენილი ნთელი აზრი, ასე ადვილად ვერ შთაინთქმებოდა, ასე უნაყოფოდ, კვალდაუჩენელად ვერ ჩაივლიდა... მაძინის მოწოდებამ გაიტაცა ყოველი წრე, ყოველი წოდება იტალიის ხალხისა. გაჩნდნენ მწერლები, გამოვიდნენ პოეტები და იტალიელთა მჩქეფარე სისხლი უფრო აადუღეს, ააღელვეს. გაცოცხლდა, გადახალისდა ლიტერატურა, აყვავდა იგი მაღვით თუ ცხადად და ხალხოსნურ მოძრაობით გაჟღენთილი, ხალხის გულის მესაიდუმლედ, მის გულის სარკედ იქცა...

იტალიის დიდებული პოეტი სილვიო პელიკო, 1831 წლის უსუგეშო რევოლიუციის შემდეგ, შემზარავის ფერადებით აღწერდა შპილბერგის საპყრობილეს („ჩემი საკანი«) და ხალხის გულში გულისწყრომასა და მძულვარებას აღვივებდა მტარვალობის წინააღმდეგ, იწვევდა ხალხს მის დასამხობად. მისი ლექსები ერუანტელს ჰგვრიდა მკითხველს. მეორე მგოსანი, გერშე, შეჰღაღადებდა ხალხს: „აღსდეგ, იტალიავ! აბჯარი აისხი!... შენი დღეც დადგა“!... შესანიშნავი რომანისტი ტორკანი გვარაცცი აღწერს იტალიის წარსულის მოგონებას და ასე აბოლოვებს: „დავწერე მისთვის, რომ იარაღით ბრძოლა არ შემძლიან“.

ნიკოლინის ტრაგედია „არანალდო დე ბრესსია“ (1843 წ.) ნამდვილი ჰიმნია თავისუფლებისა. მასში დაუნდობლად გაკიცხულია იმპერატორისა და პაპის კავშირი, მათი გველაძუობა, ხალხის საყვლეფად და საჩაგრავად კუდიკუდს გადაბმა... ნიეჩიერი სატირიკოსი ჯუსტი საუცხოო ენამახვილებით და დაუნდობელის სარკაზმით დასცინოდა და ამათრახებდა პაპს, მეფეს, სასახლის პეპელებს, პოლიციას და ხშირად თვით დემოკრატებსაც ამხილებდა, როდესაც იგინი წინდაუხედაობით წაიბორძიკებდნენ...

ხალხის შეგნებამ ფრთები შეისხა, აბობოქრდა. მისი გულის თქმა, მისწრაფება გასასვლელ გზას ეძებდა... სამეცნიერო კონგრესები, მიწათმოქმედებისა თუ რკინის გზების საზოგადოებათა კრებები, თავისდა შეუმჩნეველად, გვერდს უხვევდნენ პირდაპირ საკითხებს და ხალხოსნურ ჭირვარამზე გადადიოდნენ... ყველა აღიარებდა, რომ იტალიას აღარ ძალუძს ეგოდენ სიდუხჭირის ატანა, საჭიროა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების გადახალისება, ძირიან-ფესვიანად შეცვლა და ხალხოსნურ, მოქალაქობრივ საფუძველზე დამყარება... ათასნაირი პოლიტიკური ტრაქტატები დასწერეს დაჯიო ბერტიმ, ბალბომ, დურანდომ და სხვათა. ყველა ტრაქტატების საზოგადო, საერთო ღერძი კი სამს მუხლზე ტრიალობდა: კონსტიტუცია, დამოუკიდებლობა, პროვინციების გაერთიანება (ფედერაცია), — ეს იყო ლოზუნგი იტალიის მებრძოლ პარტიათა.

პაპმა გამოსცა ბულლი, რომლითაც მართლმორწმუნეთ უკრძალავდა ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას... არც მთავრობის ეძინა. ისიც ფათურობოა, თავს იცავდა, ამოსასვლელ სულს ხელოვნურად იკოწიწებდა თავისს დაუძლურებულ, გახრწნილ სხეულში და თავის დაცვაში სიმხეცემდე მიდიოდა.

მაგრამ, რამდენადაც ძლიერი და სასტიკი იყო მთავრობის მიერ დევნა, იმდენად უფრო ძლიერდებოდა „ნორჩ იტალიის“ გავლენა, იმდენად უფრო მრავლდებოდა მაძინის დროშის ქვეშ იტალიის განახლების მოტრფიალე ცოცხალი ძალა. დღითი-დღე იზრდებოდა ხალხისა და მთავრობის შორის საშინელი უფსკრული და განწირულ მსხვერპლებს ჩასანთქავად ელოდა... იტალიის აბსოლუტიზმის დღენი დათვლილი იყო... ხალხის მოხავთებას ვეღარ უმაგრდებოდა იგი.

პირველად ხალხის დრტვინვამ ამოჰხეთქა იქ, სადაც არავინ მოელოდა, რევოლუციის პირველი შემოძახილი გაისმა იქ, სადაც ყველაფერი მიძინებულ-მიმკვდარებული ეგონა ყველას,—ეს იყო სიცილია. ფერდინანდ მეორემ სრული ოცი წელიწადი აუტანელ უღელქვეშ აკვნესა ხალხი, სრული ოცი წელიწადი ჰყვლეფდა, ამცირებდა, ფეხქვეშ სთელავდა, მიწასთან ასწორებდა ამ ტურფა ქვეყანას!.. ეს ის ფერდინად მეორე იყო, რომელიც ტახტზე ასვლისას ამგვარ მანიფესტით მიესალმა ხალხს: „განგებითა ღვთისათა წილად მხვდა განვკურნო ყულენი სამშობლოისა, დავამყარო მუნ სიბრძნე და სამართლიანობა...“ მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები იყო. თუმცა „ხალხის წყლულთა საკურნებლად“ ათასი კანონები შემუშავდა, ათასი კომისიები შესდგა, ათასი სათათბიროები დაწესდა, ხალხს ვითომ სხვადასხვაფერი უფლება მიენიჭა, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე იყო და არა ნამდვილად... ამ დროის შესახებაც მართალი იყო დანტეს სიტყვები: „კანონები კი გვაქვს, მაგრამ... თავს ვინ იწუხებს მათს ასასრულებლად!..“ კანონების მაგიერად აღვირწახსნილ მთავრობის თვითნებობა იყო გამეფებული.

მინისტრების საიდუმლო მიწერილობანი და ცირკულიარები ფაქტიურად აბათილებდნენ კანონს...

კანონის ძალით, ნეოპოლიტანის სამეფო 15 პროვინციად იყო დანაწილებული. თითოეული პროვინცია თვითონ განაგებდა ყველა ადგილობრივ საქმეებს: ხარჯების გაწერვა-აკრეფას, გზებს, საზოგადო სამუშაოს, საზოგადო დაწესებულებათ, მოხელე პირთა კონტროლს; იგი ადმინისტრატიულ რეფორმების პროექტებს და საერთო სახელმწიფო, რთულს საკითხებს გადაწყვეტდა ნიხილავდა და მსჯავრს დასდებდა და სხ... ასე ლამაზად იყო დაწერილი კანონები, ასე გაწესრიგებული იყო ნეოპოლიტანის პატარა სამეფო, მაგრამ ეს იყო... მხოლოდ ქაღალდზე... მთავრობა ყველგან ებღაუჭებოდა ხალხის უფლებას, ყველგან გულმოდგინედ „ჰმზრუნველობდა“. მექრთამეობა, ყალთაბანდობა, ფულით სამსახურისა და საპატიო ადგილების სყიდვა ასურათებდა და ახასიათებდა მეფე ფერდინანდ მეორის მეფობას... მის მამის მეფობაში (ფრანჩესკო პირველი) ხომ „სამართალი, ღირსება, ტიტული, უმაღლესი ადგილები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა“.—ასე ჰმოწმობენ მემატიანენი.

ფრანჩესკო I იტყოდა ხოლმე: „ის ადამიანი, რომელსაც ფულით უყიდნია თავისი თანამდებობა, ძვირად აფასებს მას, ზედ აკვდება და ყოველთვის მთავრობის ერთგული ძაღლიაო“... არც ფერდინანდ მეორე ჩამოუვარდებოდა მამას, ისიც არხეინად იტყოდა ხოლმე: „შრომად არა ღირს ქურდობისათვის მოხელის დათხოვნა და ახალის განწესება, ვინაიდან უმჯობესია ისევ ჯიბე-გასქელებულმა იპაროს, ვიდრე ჯიბე-გაფხეკილმაო“... ფერდინანდ მეორის მეფობა აბუჩად იგდებდა პიროვნებისა და საზოგადოების დაწყებულებას, მის ადამიანურ მისწრაფებას სათავეშივე არჩობდა... მწერლობას ხომ სული ამოჰხადა. მიუჩინა ორგვარი ცენზურა: სასულიერო და პოლიტიკური. სასულიერო ცენზურა იეზუიტების ხელში იყო და სასულიერო შინაარსის კონტრაბანდას ატუსაღებდა და საქაჯავში ატარებდა. პოლიტიკური კი დამატება იყო იეზუიტურისა და, რაც პირველის „შელავათიან და პირნათლად შესრულებულ მოვალეობას“ გამოეპარებოდა, ეს აუგებდა ხოლმე ანდერძს... ერთი იმდროინდელი იტალიელი მწერალი ამბობს: „ჩვენში ავტორი ძალაუნებურად თანაზიარია ცენზორისა... ცენზორი ავტორის ყოველ ფრაზაში გამოიყურება, იმისთვის, რომ ცენზორი განუყრელად თან მდევს მაშინაც, როდესაც ესაზრავ, მაშინაც, როდესაც კალამს ვეკიდებ ხელს, მაშინაც... როცა ვწერ... ვგრძნობ, რომ ცენზორი მაჩერებს, სიტყვას მაწყვეტინებს, აზრის დამთავრებას არ მაცლის... ჩემი არსება ორად იყოფა, ვსაზრავ როგორც „მე“ და როგორც „ცენზორი“, ჩემს ფიქრებს მისი მაკრატლით ვკვეცავ, აზრს ვაბოლოვებ იქ, სადაც ჯერ არა მითქვამს-რა... ბოლოს გამოდის, რომ დავსწერე ის, რის თქმაც უნდოდა ცენზორს, რაც ნება-დართული მქონდა“...

იტალიის მთავრობამ უფრო მეტი „მზრუნველობა“ გამოიჩინა და ცენზორად დაჰნიშნა... ჟანდარმერიის უფროსი დელ კარეტტი, რომელიც მერე პოლიციის მინისტრად იყო...სასულიერო წოდება, რომელიც ყველა ქვეყანაში და ყველა დროის მთავრობის დედაბოძია და მისი ყურმოჭრილი მონა-ჰორჩილია, არც იტალიის მთავრობამ დაიფასა უმადურად და მისი გაქნილი გველაძუობა თავის მზაკვარ ანგარიშებს მიუჩემა. ეპისკოპოზს რომ აკურთხებდნენ, ასეთ ფიცს ართმევდნენ: „ვფიცავ... უკეთუ ჩემს სამწყსოში, ან სხვაგან შევიტყე მთავრობის რაიმე საწინააღმდეგო განზრახვა, მის უდიდებულესობას მოვახსენო“... აბა, მდგდლებზე რაღა გვეთქმის. აი, ამისთანა წმინდა მამებს ჰქონდათ მინდობილი ხალხის განათლება, მისი აღზრდა. უნივერსიტეტის სათავეშიაც იგივე იეზუიტები მოჰქცეოდნენ. მასწავლებელთ ევალებოდათ მოწაფეთა გულში ჩაენერგათ, რომ მთავრობის წინააღმდეგ რაიმე განზრახვა კაცის კვლაზე უარესი ცოდვაა...

სახალხო სკოლების მინისტრი იეზუიტებს საათამაშო ნივთად გაეხადნათ. ათას ხერელში გაძვრებოდნენ და სკოლის დაარსების გზას კი არ მისცემდნენ... ხალხი უვიცობის მორევში იყო ჩაფლული. რამდენად ჩამორჩენილი იყო ხალხი განათლების მხრივ, აშკარად ჰმოწმობს მთავრობის შემდეგი დადგენილება: „სასურველია, რომ ქალაქის საბჭოში ერთი მესამედი მაინც იყოს წერა-კითხვის მცოდნეო“...

ყველა სფერაში პოლიცია იყო გაბატონებული. მაგრამ მის საშიშრობას უფრო ერთი სიტყვა აათკეცებდა, ეს იყო „ემპარა“—სიტყვა, რომლის ძალითაც პოლიციას თავის გუნებითა და ანგარიშებით ბრალიანისა და უბრალოს დატუსაღება, წამება შეეძლო. პოლიციისავე გამგეობაში იყო „საჯალათო კომისია“... მთავრობა იმდენად უსირცხვილო და შუბლის ძარღვ-გაწყვეტილი იყო, რომ ოფიციალურად აცხადებდა: მეფეს ორნაირი ქეშეკრდოანი ჰყავს. მორჩილი და ურჩი. ურჩი, როგორც მეფისა და ღვთის მგმობი, ყველგან უნდა იდევნებოდეს და ისჯებოდეს—მოგვითხრობს გლადსტონი. — იგივე ასწრებს იტალიის საიდუმლო სამსჯავროს სისასტიკეს, უსამართლობას, მთავრობის თავგასულობას, რომელიც არავითარ სიმხეცის წინ არა კრთებოდა, აგვიწერს წამებასა და ჩაშავბნელებულ, ბინძურ, ნესტიან, მატლებით სავსე საკანებს, სადაც ცოცხლივ ალპობდნენ და ჰმასხავდნენ „ურჩთა“ მათ... ჭკითხულობ ამ აღწერას და ერუანტელი გივლის, თმები ყალხზე გიდგება, ცახცახი მოგდის... უნებლიედ თვალწინ გეხატება თანამედროვე ცხოვრება, მის უსამართლობა დევნით, მის სირცხვილეულ ინადიანობით...

იტალიაში ფერდინანდ მეორის სიკვდილის ჟამს, სულ 9 მილიონი მცხოვრები ითვლებოდა.

შეტაკება მოსვლიათ ფშაველებსა და ქისტებს სადავო მიწების გამო; შეტაკების დროს ხანჯლით დაუჭრიათ ორი ფშაველი და ერთი ქისტი.

✦ 18 სექტემბერს, შუამთის მონასტრის მახლობლად, ხუთი შეიარაღებული კაცი დასცემია თუშების ცხენების ჯოგს, ერთი თუში მოუკლავთ და 10 ცხენი გაუტაცნიათ.

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ
ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

I

წერილი შეყვარებულ ქალისა სიყვარულ ვაჟისადმი.

ჩემო ბიჭო! ნეტავ იცოდე რა მდგომარეობაში დავრჩი შენს მერე და ახლაც როგორა ვარ! გონება სულ ამერია. სადილზე გული შემიწუხდა და მერე ცრემლებმა დამარჩო! ახლა რომ ეიფიქრე მომეწერა შენთვის, გული ამიძგერდა და სულ მოვიშალე, მაგრამ მაინც დავძლიე თავს, ნეტავი შეგატყობდა ახლა შენი გოგოსთვის რა მდგომარეობაშია. სარკე წინ მიდევს და რომ ჩავიხედე, შემეშინდა!..

რა ვქნა, შენ გენაცვალე! ბევრჯელ ცუდათ ვყოფილვარ, გულიც შევწუხებია, მაგრამ ახლა რომ ვარ, ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში კი არასოდეს არა ვყოფილვარ!

ალექსანდრე! ჩემი ასე ცხოვრება შეუძლებელია. მე ვგრძნობ რომ ვერ ვძლებ ერთ დღესაც უშენოთ... რა ვქნა თუ გიყვარდე?! ძინდა გთხოვო: ჩამოდი ახლავე მეთქი და თან გული მისივდება, ვაი, თუ დაატუსაღონ მეთქი. ბიჭო, იცოდე, შენ რომ დაგაკავონ, ეს მეტის-მეტი „პასლედნი უდარი“ იქნება იცოდე!!! ამდენი აღარ შემიძლიან. ვწერ ამ სიტყვებს, ტ თან მეშინიან, ვიბნევი და ტირილიც მერევა. არც არავინ მოდის, თითქო ჯინისთვის. ჰე, ვინც უნდა მოვიდეს. „ჩემო ბიჭო“ მაინც არ იქნება და ისევ დავჯდები და ვიტირებ...

ალექსანდრე! თუ საშიშია შენი აქ ჩამოსვლა, ნუ ჩამოხვალ. მე მირჩევნია ჩემი ბიჭი თავისუფლად სხვაგან იყოს, ვიდრე დასჯილი—ჩემის ძიზეზით. თუ არ არის საშიში, მაშინ ჩამოდი, შენ გენაცვალე. ღმერთმანი, რა ვქნა, არ ვიცი!..

ვზიარ ამ გამოყრუებულ სახლში, იმ იმედით, რომ გაპირვების დროს უფრო ადვილად შემიძლიან ჩემ ბიჭს ვაცნობო... ეხლა რა მოგწერო კიდევ. როდის იქნება მე დავბინავდე სადმე, რომ შენთან თავისუფლად ვიყო!!!

შენი გოგო.

პასუხი ვაჟისა.

ჩემო მშვენიერო! ძას შემდე, რაც შენ გაგიცან ადამიანად ვიქეც. მთელი ჩემი სულისა და გულის ძალღონე მოვიკრიბე და დღეს მზადა ვარ შევეჭიდო ყოველივე ბოროტებას, ყოველივე ავკაცობას. მე მსურს უნაკლულო ადამიანი ვიყო და მით ბენი ხელი და გული დავიმსახურო.

გეფიქრება, რომ არ დამიჭიროონ?! ოხრად დარჩეს ისეთი ცხოვრება, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს უწამლავს, რომელიც ისეთ გარემოებაში აყენებს კაცს, რომ საყვარელ არსებასთანაც კი ვერ შეუძლია მისვლა, მაგრამ მე მაინც ვეცდები ამ დღეებში გნახო. აღარ შემიძლია ბეტი უშენობა. ოღონც კი ერთი თვალი დაგკრა და მერე თუნდა ანძაზე ჩამომკიდონ. შენი სახე, შენი ღვთაებრივი ღიმილი, შენი ერთი სიტყვაც კი საკმარისი იქნება, რომ ღირსეულად ავიტანო ყოველივე ტანჯვა, ოღონც კი შენ, შენ ეგრე გიყვარდე სამუდამოდ. ოხ! რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები უშენოდ, როგორ ვიტანჯები ხელ მოკლეობით, როგორ ვიტანჯები რომ მუდამ სხვის ხელის შემაყურებელი, უსწავლელი ვარ! მაგრამ იმედი მაქვს როგორმე გამოვაკეთო ჩემი საქმე, და საქვეყნოდ ხელი დაგდო, ცოლად შეგირთო და სიკეთილამდის ერთგულად გემსახურო.

შენ და ჩემი განზრახული აზრი—აი, ის ორი საგანი რომლისთვისაც შემიწირავს ჩემი თავი, ჩემი არსება, ჩემი სულთასწრაფვა. თუ დავთრგუნე უმთავრესი დაბრკოლებანი და ღისეულს ღირსეულად შეგხვდი, ხომ ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არაკინ იქმნება, თუ არა და გახსოვდე ‹ საინც, მომიგონებდე ხოლმე და მარადის გწამდეს, რომ უკანასკნელ სულის ამოსვლამდე—მხოლოდ შენ იქმნები ჩემი გამამხნევებელი. შენი ალექსანდრე.

შენიშვნა. სამწუხაროდ, ამ ყმაწვილს წინაგრძნობა გაუმართლდა. ერთ მშვენიერ დღეს იგი დაიპატრეს აგიტატორობისათვის და ციმბირში გადაასახლეს... ქალს კი გული გაუგრილდა და სხვაზე გათხოვდა. ცხოვრება მარტო სიყვარულის ახსნა როდია!!

II

წერილი ეჯვიანის ცოლისა ქმრისადმი

მე რაც მომდის, ყველაფერი შენის უზომო სიყვარულისაგან მომდის და თუ ამ თავ-განწირულებისათვის დავისჯები, როგორც შენ მემუქრები,—და შენი ადამიანობა და შეგნებაც ნებას მოგცემს უსამართლოდ დასაჯო ის, ვინც შენი გულისათვის მზადაა სარჩობელაზე ავიდეს, მე მზადა ვარ სასჯელი ვიკისრო, ოღონც შენ არა დაგიშავდესრა და თუ გინდა, იმასაც მოვახერხებ, რომ სრულიად გაგანთავისუფლო. ერთი ტყვია, ან ერთი აბები და... თავისუფალი იქმნები.

ნუ თუ აქამდე ვერ გაიგე, რომ მე არ შემიძლია... მე ეგიუდები, როცა სხვა ქალებთან გხედავ! შენ კი მაყვედრი: „აქეთ ვერ გაძიხედნია და იქით, უსაფუძვლო ეჭვებით თავი მომაბეზრეო“. მე ეჭვიანი არასა ვარ! შენ კი... რაც უნდა საყურადღებო დედაკაცი არ იყოს, არ შეგიძლია არ მიხვიდე და არშიყობა არ დაუწყო. რაც უნდა კარგი ამხანაგები იყვნენ შენთან, თუ დედაკაციც ურევია მათში, მეტ ყურადღებას უფრო ამ დედაკაცს აქცევ ხოლმე! ნაძალადევი არა ვარგარა! შენ თუ აგრეთი თვისება გაქვს და ვეღარ მოიშალი, გაძლევ სიტყვას, რომ ხმას აღარ გაგცემ, პირიქით თავისუფლებას მოგცემ ისე მოიქცე, როგორც შენ გესიამოვნება, ოღონც მე ნუკი დამანახვებ, ჩემთან სხვა ქალს ნუ დაელაპარაკები და სახლში თავის დროზე მოდი ხოლმე.. შენი ტასა.

პასუხი. აგარაკიდან ამ გვარი წერილის მოწერა არ გამიგონია. პასუხად კი ამ ქალაღლზე კითხვითი და გაკვირვებითი ნიშანი უნდა გამოვახატო?!, აი ასე?!—კაცს თვალები იმიტომა აქვს, რომ დაინახოს, ენა—იმიტომ. რომ ილაპარაკო, ხოლო თუ ვაუებთან ერთად ქალებიცა მყავს ნაცნობი და ბევრი ქალი ვ'ეზე უფრო ჭკვიანია, როგორა ვარ ჭკვიანს ხელი და სულელს ველაპარაკო! რა გაეწყობა, რახან ასეა, ჩემო ტასია, ვეცდები მუხლის ძირიდან არ მოგშორდე, თვალები დავხუჭო და პირი დავიობო, ოღონც შენ იყავ გულ-მშვიდათ და ბავშვებს კარგად მოუარე. დღეიდან შინიდან გარეთ უშენოთ აღარ გავალ, ხოლო თუ შენთან მიმავალს წინ ნაცნობი ქალი შემხვდა, ისე მოვკურცხლავ, რომ, მგონი შენც ვეღარ დამეწიო! ჰა, ჰა, ჰა! შენი სესია.

შენიშვნა. ეს ცოლქმარი დღეს ქალაქში სცხოვრობენ. ქმარი ცოლის შიშით უდრო-უდროოდ გარედ ვეღარ გამოდის, ხოლო თუ გამოვა ხოლმე და ვისმესა ნახავს, ცოლს ყოველთვის უმალავს. ცოლთან სეირნობის დროს, ნაცნობ ქალებს თვალს არიდებს. მოგეხსენებათ, ცოლის წყენას, სხვისი წყენა სჯობია!

III

წერილი დროგაძასულ გასათხოვარ ქალისა ქმრისადმი.

დაო ქეთევან! პირველად ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვსთხოვ შენს კარგად ყოფნასა შენის ქმარ-შვილითა. ახლა, დაო, მინდოდა ჩემებური, ძველებური წერილი მომეწერა, მაგრამ ისეთი გაჯავრებული ვარ, რომ აღარ ვიცი რა ვქნა. Понимаешь, საერთო მოძრაობამ, ჩვენ, ქართველი ქალებიც, გაგვიტაცა; კრებას კრებაზე ვმართავთ, ვლაპარაკობთ ათას რამეზე, მაგრამ ერთ გადაჭრილ აზრს ვერ დავდგომიეართ. კიდეც ამიტომ დაგვიცინიან—противные мужчины! ვითომ თითონ კი კარგები იყვნენ, ვითომ თითონ კი რამეს აკეთებდნენ! ბევრი მათგანი რის ვაივაგლახით ათავებს კურსს და რუსეთიდან მათუშკები კი ჩამ ჰყვათ. რაც მე სტუდენტებისათვის ფულები მომიგროვებია, ნუ თუ ღირსი არ ვიყავ ერთისა მაინც Противные! ჩემზე უკეთესს კი მონახავდნენ, აი! ეჰ! რომ იცოდე რა გულს მაკლია! დღეს შლაპას რომ ვიხურადი, სარკის წინ მთელი ბღუჯა ჭაღარა გამოვიგლიჯე თმიდან. ვბერდები და ვჭკნები... Противные, гадкіе мужчины!.. ჰო, იმას ვაპბობდი, დიდი ამბავი გვაქვს მეთქი კრებებზე... გუშინ საღამოთი, მაგალითად, მე ასეთი საკითხი დავაყენე: განა დრო არ არის—მეთქი—ჩვენშიაც შემოვიდეს სამოქალაქო ქორწინების წესი, როდემდის უნდა ვიყვნეთ ქრმების მონები მეთქი. წარმოიდგინე ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს სიცილი დაიყარეს და ერთმა კიდევაც წამომძახა—შენ რა ვექილობას უწევ ქმრიან ქალებს, შენ ხომ ქმარი არა გყავსო! ისეთი მეწყინა, ისეთი მეწყინა, დობას გეფიცები, რომ სიბრაზით კინაღამ გული არ წამივიდა!.. ხეპრე ვიღაც იყო, მონობაში დაბადებული და მონობაში უნდა ამოუვიდეს სული, ქმარი რომ არა მყავს, განა არ მეყოლება? არც ისე იმედ—დაკარგული ვარ... მაგრამ სამოქალაქო ქორწინება მაინც კარგია, მაინცა სჯობიან ჩვენებური ქორწინებას. არა? მე კი ასე მგონია და! საძაგელი კაცები, სულ იმათი ბრალია, რომ ჩვენ, ქალები, ასე ჩამორჩენილი ვართ! სხვა რაღა მოგწერო, იყავი ჯანსაღად.

შენი ბოდიო.

პასუხი.

დაო, პოლია! შენ ყოველთვის ჩემი მგსაიდუმლე იყავ და შენი ჭკუა და გამოცდილება ყოველთვის სამაგალითოდ მიმაჩნდა. თვალი დაუდგეთ ჩვენ ყმაწვილ კაცებს, რომ შენისთანა ჭკვიან ქალს აქამდე არ ირთავენ, მაგრამ არც არა გათხოვებაში ჭყრია რამე. რომ იცოდე, როგორ თავი მომაბეზრა ერთფეროვანმა ცხოვრებამ. ბავშვების ჟღავ-ჟღავამ ხომ სულ ტვინი გამომილაყა. არც ჩემი ვიეტატონი ბრძანდება. მაინცა და მაინც, კარგი კაცი. ამ ბოლო დროს სმაც დაიწყო და გული გამიწყალა. ეჰ, რა სჯობია თავისუფალ ცხოვრებას! ვინც გინდა შეიყვარე, ვისაც გინდა გაუარშიყდი! ამ საძაგელმა ოჯახურმა ცხოვრებამ გული გამიცვითა. ნეტა მალე მაინც განხორციელდეს შენი აზრები—მალე შემოვიდეს სამოქალაქო ქორწინება. ჩვენში კი დარჩეს და... მაშინვე გავეყრებოდი ჩემ ქმარს: ამ ბაბაყულის ცქერამ გული გამომიღრღნა.

შენი ქეთო.

შენიშვნა. პოლია ისევ გასათხოვარია და სულ მამაკაცების ლანძღვაშია, თუმცა თვალებს ქორავით აქეთ იქით აცეცებს. ქეთომ კი საყვარელი გაიჩინა. ცხოვრება გაისხვაფერა.

ია ეკალაძე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ოპერა. აი, რას ამბობს გუნიოსი ნიცშე „კარმენის“ ავტორის ბიზეს შესახებ: მე სუგეთესო კაცად გავიქცევი ხადმე, რომ ბიზე მესაუბრეს—სუგეთესო შემუსაკედ, სუგეთესო მსმენელად.—„ადბად შეგნიშნავდით, რომ ეს მუსიკა **ანთავისუფლებს** ადამიანს სულს და ფრთას ასხავს აზრსა“... „ბიზე მიამავდენს ხოდმე მე ზეკარდმო შთაგონებას. ეეედოფერი, რაშიაცაკი შეგნიერება გამოიხატება, ზეკარდმო შთაგონებით მაგსებს. მე სხვა გვარად მადლობის თქმა არ შემიძლიან. არა მაქვს სხვა გვარი საზიმი შეგნიერებისათვის“.

ეს ორიოდე აზრი დიდებულის ფიდოსოფოსისა მე განგებ ამოგწერე იმ ზოგიერთა მსმენელთათვის, რომელნიც გაიძახიან: „კარმენი“ ბეზელასავით მსუბუქი, ზეზეური მუსიკაა.

მართლაც და მუსიკის იმ დარგში, რომელსაც კოდორიტული მუსიკა ეწოდება, „კარმენს“ თანასწორი არა ჰყავს. გენუსაზგრელის შეთანხმებით ასურათებს ამა თუ იმ სიტყვას, ანუ წინადადებას. ეს თუ ის მუსიკალური ჰანგი, ფრაზა, თვით მოძმედ-ბირთა დასასიათება მუსიკით საკვირველია. მერიმეს (ავტორი რომანისა, რომლიდამაც შედგენილია ოპერის ლიბრეტო) კარმენს ვინ აქცევდა უურადღებას, ვიდრე ბიზემ სული არ შთაბერა ჯადოსნურ ჰანგთა საშუალებით. მას შემდეგ კარმენი ყველა, ვისაც კი მუსიკის შესახებ გაგონია რამ, ან თეატრში ეოფილა, სატრფიალო, სოცნებო არიებად მაჩნია. ამ მუსიკობით ადასავე სახელით ჭნათლავენ ოიოქმის ყველა ტურფა ქალს, რომელიც ბუნებას დაუკალდგენია ცხოველმოფენელ და მგზნებარე არსებით. კარმენი ცვალებადია სიყვარულის სამთავროში—ცვალებადია მიტომ, რომ სიყვარულის მრავალფეროვანობაში ჭნეულავს და ჭგრძნობს მშვენიერებას ქვეყნად არსებობისას. ბიზეს მუსიკა სრული განსხორციელებაა კარმენის დაუდგრომელის და ვნებით ადსავსე ხასიათისა. შეადარეთ კარმენის სასიმღერო ჭანგები მიკაელას პარტიას და გადაწყვიტეთ ითუკათ, ძესელი წარმოსადგენია, რომ ეს ორ-გვარი მუსიკა ერთის კაცის შექმნილი იეოსო. პირველში თქვენ ეჭოვებთ ჯადოქრულ გამომტუვლებას ტრფიალების გრძნობისას, მეორეში-კი ადებ-მისად ადამიანის ფაქიზ და ნაზ სიყვარულისას. მომქმედ მამაკაცთა შორისაც ასევე დაპირისპირებულნი არიან დონ-ხოზე, გულ-უბრუვიდო ჯარის კაცი, უმწიკვლო და გაურეგნელი, და ცხოვრებაში გამოცდილი ტორეადორი ესკამილიო, რომ მეღასც, ვინ იცის, რა გვარ სუფარულის ბრძმედში არ უწვდია თავისი გრძნობანი.

შეადარეთ პირველ მოქმედების დუეტი დონ-ხოზესი და მიკაელასი უკანასკნელ მოქმედების დუეტს კარმენისა და ტორეადორისას და თვალსათლივად ჭნასავთ ცხოვრების უგულმართობას და სიყვარულის გრძნობათა ცდუნებას ადამიანთა ბუნებაში. დონ-ხოზე და მიკაელა სრულიად თანაბარნა არიან თავიანთ არსების საწყისდათ, სიფაქიზით, გრძნობათა ნაზ მეტეველებით. ასევე შესაბამისნა არიან კარმენი და ტორეადორი ესკამილიო ბუნების დაუდგრომელობით, რომელშიც განუწყვეტელი ვნებათა-თარეშია და სურვილთა ბობოქრობა, მაგრამ ცხოვრებამ სუფულმართოდ კვალსალართა მათი ბედ-იდბადი.

„კარმენი“ გუშინწინ, 20 სექტემბერს, ვერ იეო სათანადოდ წარმოდგენილი. კარმენის როლის ადმასრულებელი ქ-ნი კარრი, როგორც სიმღერით, ისე გარეგნანის გამომეტეველებიო მძიმეა, უსხლარტო და უშგზნებარო. კარგა შესაშე მოქმედების ამ სცენისა, როდესაც კარმენი ქალდდა ჭშლის და საკვდილის ამოკითხვის გამო კაუშანს ეძღვნა, დანარჩენი მოქმენტები უფერულად კალმოკვეტ. უფერულადკე გამოვიდა შესანიშნავი სანასერა და ტეკვის ჭანგი მეორე მოქმედებისა. ბ-ნი დანსკოი ამ სეზონში ეს მეორედ მღერის და ორიგეკერ ხპასედ ვერ არის. წარსულ სეზონში ბ-ნი დონსკოი რამდენჯერმე მანახავს დონ-ხოზეს როლში და ეოგვედთვის ასლანდედზედ უკეთესი ეოფილა სიმღერით, გარეგნობით-ვი, ცოტა არ ეეოს, ტლანქია ამ როლისთვის. ამ წარმოდგენაში კარგად მოუსდა კარმენის მოკვდის სცენა. დასარჩენ მოქმედებაში მოისუსტებდ. მშვენიერი მიკაელა ქ-ნი არტიბაშევისა და მშვენიერი ტორეადორი ბ-ნი სოკოდსკი. ბ-ნი ჩისტიაკოვი კაპიტან ცუნიგას როლში ნიკოდოზის დროის ვეტერანს უფრო ჭგავდ, ვიდრე ესპანელ მხედარს.

მეორე მოქმედებაში კვინტეტი მთლად გამოსტოვეს.

ორკესტრს ბ-ნი ნაშრავნიკი ძალიან სუსტად ჭდოტბარობდა; თითქოს ერთმანეთისა არა გეგეგანთ-რა ხელმძღვანელსა და მას ხელქვეითთაო. მეორე მოქმედებაში სცენის კარად მეოფ სამხედრო ორკესტრს ვერ შეუთანხმა თავისი ორკესტრი და უკანასკნელ მოქმედებაში კიდევ ტორეადორის და კარმენის დუეტს, რის გამოც ბ-ნ სოკოდსკიმ თავისი უგმაყოფილება თვალსათლივად გამოსატა. საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

ი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

„ივერიის“ № 163-ში დაბეჭდილ კორესპონდენციაში სიღნაღიდან, იქ მომხდარ სამაზრო კრებების შესახებ, ნათქვამია, ვითომ კომისიისგან შემუშავებული პროექტი იწყებოდეს ასე: „ვიდრე კავკასია ავტონომიას მოიპოვებდეს, მის უმაღლეს საერობო დაწესებულებას შეადგენს“. არ ვიცი, საიდგან გამოიგონა კორესპონდენტმა ყველა ეს. ჯერ ერთი, რომ მოხსენებული პროექტი არ იწყება ამ სიტყვებით და მეორეც—ამ სიტყვების აზრი და რედაქციაც სრულიად სხვანაირი იყო. იგი იყო სწორედ ისეთი, როგორიც არის ნათქვამი „ივერიის“ 166 ნომერში დაბეჭდილ სიღნაღის პროექტში (იხილე მუხლი 3 და 9).

არც ის არის სწორე, ვითომ, მე კრებისთვის მიმეცეს წინადადება, მიედო ქუთათურებისაგან შედგენილი პროექტი, პირ იქით მე ვცდილობდი გამეტარებინა ჩვენი საკუთარი პროექტი.

პროექტის მეათე მუხლში შეცდომით გამოტოვებული სიტყვა „თანასწორი“. უნდა იყოს: თანასწორი საარჩევნო უფლება და სხვა.

ვლ. დარჩიაშვილი.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ სტრიქონებს.

ქართველ საზოგადოებაში მრავალი მითქმა-მოთქმაა შესახებ ქართულის ენის განდევნისა ჩემდამი რწმუნებულ კუკიის სასაფლაოს საეკლესიო სამრევლო სკოლიდან და ამიტომ ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ, მოკლედ ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას საქმის ვითარება: 1903 სამოსწავლო წელს, ზემოხსენებულს სკოლაში მოსპობილ იქმნა ქართულის ენის სწავლება. წინაადმდეგ ამ არა ნორმალურ მოვლენისა, დაუყოვნებლივ წარვადგინე ჩემი აზრი, სადაც ჯერ არს, რომ ქართულის ენის განდევნა ეწინააღმდეგება უმაღლესად დამტკიცებულ სამოსწავლო გეგმას და აგრეთვე საუკეთესო პედაგოგთა აზრს და ვითხოვე რომ მოწვეული იქმნას ქართული ენის მცოდნე პირი. ამ ჩემს შუამდგომლობას არამც თუ ყურადღება არ მიაქციეს, არამედ შენიშვნაც მივიღე და მსწრაფლ დათხოვნილ ვიქმენ გამგეს თანამდებობიდან. ჩემდა საეწუხაროდ, ისევ დამიბრუნეს ეს თანამდებობა. წელს ხელმეორედ, აღვძარი კითხვა ქართულ ენის მცოდნე პირის მოწვევის შესახებ, მაგრამ, როგორცა სჩანს, ინიშნება ისეთი პირი, რომელიც თუმცა ქართველია, მაგრამ ქართულის ენის სწავლება არ შეუძლიან, რაც ექსარხსაც გამოვუცხადე. ვინაიდან ეს ჩემი სამართლიანი მოთხოვნილება არა კმაყოფილდება, ამისათვის შეუძლებლად მიმაჩნია სკოლაში ზემოხსენებულ თანამდებობის აღსრულება დღეიდან თავს ვანებებ გემგეს თანამდებობას.

წინამძღვარ ეკეოს სასულიერო სკოლის [illegible]

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲦᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

21 სექტემბერი.

პეტერბურგი, 21 სექტემბერი. „ოს“ გადმოგვცემს, რომ ამნისტიას სახელმწიფო [illegible] თათბიროს პირველ სხდომის დანიშნულ[illegible] გამოაცხადებენო.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება, რომ სადაც [illegible] დრო და გაძლიერებულ დაცვის [illegible] წესებია შემოღებული, ამ წესებს გაუ[illegible] რადგანაც ამ საშუალებით ხალხის დამშვ[illegible] შეუძლებელი გახდაო. გააუქმებენ, აგრეთვე [illegible] ერთ მუდმივ საგენერალგუბერნატორო[illegible].

„ნაშა ჟიზნ“-ს გაუგია, რომ მინისტრთა [illegible] ნეტის დაარსება ცენტრალურ მმართველობ[illegible] არავითარ ცვლილებას არ შეიტანსო.

(რუსეთის და პეტერბურგის დეპ. სააგენტოებ[illegible])

თბილისი, 20 სექტემბერი. ფინანსთა მინ[illegible] რის აგენტი გრუბე დაბრუნდა. სავაჭრო წ[illegible] ცნობებით, ინგლისელებმა ხმა გაავრცელ[illegible] რუსეთი ძველს ხუთ-პროცენტიან ტარიფს [illegible] ლებსო. ამ ხმებმა ვაჭრები ძალიან აღელვ[illegible].

ასხაბადი, 20 სექტემბერი. „ბაკუს [illegible] სიტყვით, 19 სექტემბერს, კრასნოვოდსკ[illegible] თის ბაქოელის ბარგში ექვსი ხანჯალი, [illegible] რევოლვერი და 55 პატრონა აღმოაჩინეს. [illegible] სექტემბერს მეექვსე ნაწილის სარდაფიდან [illegible] უცნობებმა 23 სახაზინო თოფი მოიტაცეს.

პარიზი, 20 სექტემბერი. „ჰერალდ“ [illegible] ნამდვილი წყაროებიდან იუწყება, რომ რუ[illegible] და გერმანია შორეულ აღმოსავლეთის საკითხ[illegible] შესახებ შესთანხმდნენო. გამართულია მოლაპ[illegible] კება, რომ ამ საკითხის შესახებ საფრანგეთ[illegible] შეითანხმონ.

პეტერბურგი, 20 სექტემბერი. პრესის მდგ[illegible] მარეობის გაძოსარკვევად დანიშნულ განსაკ[illegible] თრებულ რჩევის პირველი სხდომა მოხდა. [illegible] ლონურ, ლატიშურ და ებრაულ გამოცემ[illegible] წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არარუ[illegible] პრესა წინასწარ ცენზურისაგან ძალიან [illegible] წროებულიაო; აუცილებლად საჭიროა, რომ [illegible] რუსთა პრესასაც ყველა ის შეღავათი მიეცეს, [illegible] ნაირიც რუსეთის მკვიდრთა პრესას მიეცემო[illegible].

ვენა, 20 სექტემბერი. საყოველთაო საარ[illegible] უფლების პროექტის ავტორს იმპერატორი [illegible] საათს ემუსაიფა. ეს გარემოება გვიფიქრებინ[illegible] რომ იმპერატორს საყოველთაო საარჩევნო უფ[illegible] ბის შემოღება გადაუწყვეტია.

მოსკოვი, 20 სექტემბერი. საერობო მოღ[illegible] წეთა ერთს ჯგუფს გადაუწყვეტია, დაარსოს [illegible] ზეთა, რომლის სოფელში გავრცელებასაც [illegible] საკუთრებით ეცდებიან.

მოსკოვი, 20 სექტემბერი. უნივერსიტეტ[illegible] რექტორმა ქალაქის ძოურავს გაუგზავნა წერ[illegible] ლი, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, რ[illegible] უნივერსიტეტების ავტონომიაში ის ბედს [illegible] მარტო უნივერსიტეტის ზნეობრივ გამარჯ[illegible] არამედ ძთელ რუსეთის ხალხისასაც.

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი. ყველა პარტ[illegible] ბის რჩევაზე მიღებულ იქმნა კოშუტის [illegible] შემუშავებული რეზოლიუცია, რომ იმპერატ[illegible] რის მიერ წამოყენებულ პირობებში კაბინ[illegible] შედგენა ყოველად შეუძლებელია.

ბრიუნნი, 20 სექტემბერი. გუშინ საღამ[illegible] არეულობა კიდევ მოხდა. პოლიციელებმ[illegible] დენჯერმე ესროლეს. დაჭრილია რვა კაც[illegible] ტუსაღებულია—თორმეტი. წესიერება ა[illegible] ნეს.

იურიევი, 20 სექტემბერი. სტუდენტების [illegible] ბაზე 1093 ხმის უმეტეოობით წინააღმდეგ [illegible] გადაწყვეტილი იქმნა, სწავლა განაახლონ.

ბაქო, 20 სექტემბერი. მიხეილ გურ[illegible] რომელსაც უბნის ზედამხედველის, თ-დ [illegible] ძის მოკვლა ჰპრალდება, დროებით [illegible] სასამართლომ ჩამორრობა გადაუწყვიტა.

პარიზი, 20 სექტემბერი. ოფიციალურ[illegible] იუწყებიან, რომ გალიციაში არეულობა [illegible] ვო.—ჰაგის კონფერენცია 1906 წელზე [illegible] არ მეიკრიფება.

ტოკიო, 21 სექტემბერი. იაპონიის პრ[illegible] აზრისაა, რომ გერმანია ინგლის-იაპონის [illegible] შირს მტრულის თვალით უყურებს და სურ[illegible] საწინააღმდეგოდ კოალიცია შეჰქ�[illegible] ლები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანია [illegible] წადელს ვერ მიაღწევს, რადგანაც საფრანგეთ[illegible] კოალიციაში მონაწილეობის მიღება არა სურ[illegible]

ვანკუვერი, 21 სექტემბერი. კომუნა [illegible] სატო იაპონიისკენ გაემგზავრნენ.

მადრიდი, 21 სექტემბერი. ესპანეთში მოგ[illegible] ურობის დროს, ანარქისტებს სურთ, ლუბე[illegible] წინააღმდეგო დემონსტრაცია ეამართონ.

რომი, 20 სექტემბერი. ვატიკანს სურს, [illegible] გის კონფერენციაში საკუთარი წარმომადგ[illegible] ლი ჰყავდეს, ვატიკანს იმედი აქვს, რომ [illegible] ქმეში გერმანია დაეხმარება.

ტოკიო, 20 სექტემბერი. ოპოზიციის მეთ[illegible] რმა, გრაფმა ოკუმამ განაცხადა: უკვე [illegible] წელს, როდესაც ჯერ გარეშე საქმეთა მინისტ[illegible] ვიყავი და მერე მინისტრ-პრეზიდენტი, იაპონ[illegible] ელჩს ინსტრუქცია მივეცი ინგლისთან კავშ[illegible] შესაკვრელად მოეპზადებინა-თქვა.

ბოროვიჩი, 20 სექტემბერი. საერობო [illegible] ბამ დაადგინა, ქალთა საარჩევნო უფლების [illegible] ფარტოვების შესახებ იშუამდგომლოს სადაც [illegible] არს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.